



# საკრებულო

საერთო უკრაინა ოთხშაბათი 13 თებერვალი 2002 №22 (1544) ფასი 50 თეთრი

## წყალქვეშა დინებები ოლიმპიადაზე რუსებმა მოგვასრულეს, ჩივიან კანადელი ფიგურისტები ამ რუსებიდან ერთი ანტონ სიხარულიძეა



REUTERS სოლტ ლეიკ სიტისიდან

ანტონ სიხარულიძეს და ელენა ბერეჟნიას სიხარული და ოქრო ერგოთ, ჟამი სალეს და დავიდ პელეტის ცრემლი და ვერცხლი



REUTERS სოლტ ლეიკ სიტისიდან

სხვებზე ზუსტ და სწრაფ ოლე ეინარ ბიორნდალენზე ოლიმპიური ოქრო ალალი და უსაყვედუროა



სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადა, უპირველესად, შეჯიბრია ანუ მავანი იცინის, მავანი ტირის, მავანიც ცხარობს. ყველა როდი იქნება კმაყოფილი იმ ადგილით, რომელიც მას სპორტული თემიდის მსახურებმა მიანიჭეს და მთავარი ზამთრის სახეობა, გადამწყვეტი სიტყვა წამშობის კი არა, მსაჯის სათქმელი რომაა, ფიგურული სრიალი გახლავთ, სადაც წყვილთა შეჯიბრი სკანდალური შეფერილობის სიუჟეტით და ქართუელის მონანილეობით გაიმართა. რუსთა დუეტმა ელენა ბერეჟნიას და ანტონ სიხარულიძის შემადგენლობით ტრადიცია შეინარჩუნა და ოქროს მედალი კიდევ ერთხელ რუსებს დარჩათ, ვიცე-ჩემპიონმა კანადელებმა, ჟამი სალეს და დავიდ პელეტის კი პირდაპირ განაცხადეს, მსაჯებმა დაგვაყარა და ჩემპიონის ტიტული წაგვართვესო.

სხვაგვრივ, ჩვეულებრივი ოლიმპიური დღე. ბიათლონში, სადაც მოულოდნელობები ძალიან არ უკვიროთ, გერმანელმა ანდრეა შენკელმა ოლიმპიადის სკანდინავიელ ფავორიტებს აჯობა, ხოლო სახელოვანი ოლე ეინარ ბიორნდალენი რომ ვაჟთა ჩემპიონი გახდა, არავის გაკვირვებია.

ახლა ჩვენებიც მოვიკითხოთ და 120-მეტრიანი ტრამპლინიდან მბტომელთა საკვალიფიკაციო შეჯიბრის მონანილეებში კახა წაქაძე მოვიძიოთ. 90-მეტრიანისა არ იყოს, კახამ წუხელაც ბოლოდან მესამე ანუ 66 კაცში 64-ემ დაასრულა ოლიმპიადა.

ახლით მეთათხმეტე-მეთუსთმეტე გვირდება







ექტორ რაულ კუპერი ნერვიულობს, რონალდო კი ედმუნდოს (მარჯვნივ) გადაპყრობა და მწვრთნელი ვგებ აღარც ახსოვს



# ო, რიო, რიო... კუპერს კასი კარნავალზე გაეპარა

**„ინტერის“** არგენტინელ მწვრთნელს ექტორ რაულ კუპერს წინა უქმეები რაც მალე დაიწყება, მით უკეთესი. საქმე ის განსაკუთრებით, რომ „სტადიო დელ არაზე“, ბოლივიის სტადიონზე, მის ამბიციურ და სახელოვან კლუბს მასპინძლობდა 2:1 მოუგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ „საველურები“ შესაძლებელია ჩაეკურნონ, ლიდერ „რომას“ იური ქულით ჩამორჩებიან, მეორე ადგილზე მყოფ „იუვენტუსს“ ერთით, ხოლო ვახუთებში წერენ, რომ მათ აგერ უკვე სამი ტურია თამაში არ მოუგიათ.

მაგრამ ამას კიდევ არა უმაჯ, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია, თან ქულათა არცთუ საშინელი ჩამორჩენით, არც ისეთი კატასტროფა — კუპერს უფრო სხვა მხრიდან უტყვევებ. კერძოდ, „ინტერის“ მწვრთნელს სატრანსფერო პოლიტიკას უწუნებენ და რონალდოს ამავსად უფრიალებენ ბრაზილიელი რომ დაშავდა, რა გაეწეობა, მაგრამ სამკურნალოდ იტალიაში რომ არ დატოვებ და სამშობლოში გაუშვი, ამას რითი ახსნიოთ.

თურმე ნუ იტყვი და შაბათს „საველურებთან“ სამედიცინო ცენტრს განცხადება გამოუქვეყნებია, რონალდო კლიმატური და ფსიქოლოგიური მოსახრებებით აქ უნდა დარჩენილიყო, ის კი რიოში გაუშვეს და კარნავალზე მოუღებინათ. ცეცხლზე ნავთს ისიც ასხამს,

რომ რონალდოს პირობა დაუღია, კვირას დაგვრუნდებო, მაგრამ, როგორც ჩანს, კარნავალმა ფრთად გაართო და პირობა დაიწყებია.

კვირას, ბოლივიამი წაგების შემდეგ კუპერი ამბობდა: „არ ვიცი ბოლო საათების განმავლობაში ვინ რა თქვა, მე რონალდოს დღეს ველი და თუ არ ჩამოვა, დასჯის მეთოდზე მერე დავფიქრებ“. „ინტერში“ ღმერთები და მხსნელები არ თამაშობენ, ყველა ერთნაირია“.

გავიდა სულ ცოტა ხანი და არგენტინელი მწვრთნელი დარწმუნდა, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელი არ დაბრუნდება და სხვაანაირად დაიწყო ლაპარაკი:

„ჩვენმა ექიმმა მითხრა, რონალდო აქ მანც ვერ ივარგებსო და მირჩია რიოში დარჩენის და ძალების იქ აღდგენის ნება დამერთო. მეც დაუუკერე სპეციალისტს“.

შემდეგ საქმეში „ინტერის“ პრეზიდენტი, მასიმო მორატი ჩაერია.

„ამ ამბიდან ავითარაჟის შექმნა საჭირო არ არის. გულწრფელად თუ ვილაპარაკებ, რონალდო „ინტერის“ ფეხბურთელია და ბრაზილიის ნაკრებისაც, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, იგი „ინტერის“ ეკუთვნის — ბრძანა მილიონერმა ბიზნესმენმა — კუპერმა და ბრაზილიელთა მწვრთნელმა, სკოლა-

რომ საერთო ენა უნდა გამოიხატონ. ჩვენსა და ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას შორის პატიოსანი ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს, რათა გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ“.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, რონალდოს საკითხის გარდა ტრანსფერების საკითხიც მწვრთნელს წამოიჭრა. კერძოდ, ჩემპიონატის მიმდინარეობა აჩვენებს, რომ „ინტერი“ ძალიან არის დამოკიდებული უპირველესი ფორვარდის, კრისტიან ვიერის თამაშზე. ვიერის 14 გოლი აქვს გატანილი და თუ ყველაფერი კარგად გამოდის, გუნდიც წარმატებას აღწევს, მაგრამ ფოველითის ხომ არ წაუვა თამაში? და ასეთ დროს კუპერმა ბრაზილიელად აღიანოს ივინსადე „ფიორენტინაში“ გადასვლის ნება დართო, თურქი ჰაქან შუქური კი „პარმაში“ გაუშვა.

მაშ, ვინ უმაგრებს ვიერის მხარს? სიკვლეონეს ნაკრების ფეხბურთელს მოჰამედ კალონს შობის დღესასწაულის შემდეგ გოლი ედარ გაუტანია, ნიკოლა ვენტოლა კი ძალას საერთოდ აღარ წარმოადგენს.

მაგრამ პრეზიდენტი მორატი მწვრთნელის კრიტიკისგან ვერ თავს იკავებს, თუმცა დასძენს, რომ ადრიანოს და ჰაქან შუქურის გასხვისება სწორედ კუპერის ინიციატივა იყო.

**ბაბუნა კილია**

# კაპერონი მხრივზე ნახევარ და დღეები დაუტოვებ

**სპრია A-ს** გათამაშების ცხრილს თუ ჩავეხედებ, რომის „ლაციოს“ რომ არ ეკადრება, ისეთ ადგილზე აღმოვაჩინო. მერვე პოზიცია და ლიდერ „რომასგან“ 16-ქულიანი ჩამორჩენა, ასეთია ალბერტო ძაკერონის გუნდის მონაგარი ამ დროისთვის. ამბიციურ გუნდში რა დაპარაკი იმის თაობაზე, რომ ძაკერონი „ლაციოს“ მწვრთნელის პოსტზე ბოლო დღეებს ითვლის.

რომაული კლუბის თავდადაკლულ ფანთა ვაგუფი, რომელსაც „ორიუსიბილი“ უწოდებენ, გაოგნებული და შემოთვებულია გუნდის წლებიანდელი შედეგებით. ხუმრობა ხომ არ არის, „ლაციომ“ სეზონი ჩემპიონობის ამბიციით დაიწყო და ახლა ცხრილის შუაში გაეჩხრა.

აღმოუთებული „ორიუსიბილი“ დღეს გუნდის საწვრთნელ ბაზა „ფორმელოზე“ აპირებს სტუმრობას და პროტესტის გამოხატვას. როგორც ვარაუდობენ, ეს იქნება „მილანის“ ყოფილი მწვრთნელის ბოლო შანსი, რათა მან „ლაციოში“ რაიმე სასიკეთო ცვლილება მოახდინოს. და თუ მომდევნო ტურში რომელმაც კლუბმა შინ „კიევოსთან“ ვერ მოიგო, მაშინ ძაკერონის თანამდებობას ჩამოაშორებენ.

„ლაციოს“ საინტერნეტო გვერდზე კი უკვე გავრცელდა ცნობა, რომ ძაკერონი, შესაძლოა, დინო ძიფუმა შეცვალოს. აქვე მოგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრების ყოფილ თავაკაცს რომელი კლუბი სეზონის დასაწყისშიც ეპარა, თუმცა შემდეგ პოსტი ძაკერონის გადაულოცა, თავად კი კლუბის დირექტორატში განავრძო მუშაობა.



ალბერტო ძაკერონი

გავრცელდა ცნობაც, თითქოს ძაკერონი „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანოტიმ თავის კაბინეტში დაიბარა და ბოლო 9 მატჩში მხოლოდ 6 ქულის დაგროვების მიხედვით განაპყრობა. საგარაუდოდ, ამ შეხვედრაზევე გადაწყვიტა ის, რაც ზემოთ ვთქვეთ, ანუ კიევოსთან მატჩი მწვრთნელის ბოლო შანსი იქნება.

**ნიკა შუბლაძე**



რეკლამა ფეხბურთის ფონია

# კუპერმა პოლიციას ტვინი აუტყდა როგა უომკიუბარულადც გაჩხრიჩა

**პარაპ სანია,** ტოტალიტატორული მაქინაციების ამბები იტალიაში რომ არ გამსკდარა. ახლა კი საგადასახადო პოლიცია „რომას“ ოფისში მისულა და სახელდასხელოდაც უქექია ქაღალდები. თუმცა ქაღალდები რა მოსატანია — ჩხრეკა კომპიუტერულ სისტემაშიც მიმდინარეობს.

ასეა, ტოტალიტატორიც გამეცნიერდა და პოლიციაც, ყველაფრის თავიდათავი კი, თქვენ წარმოიდგინეთ, რეკლამა გამოდგა.

კვირას „რომა“ — „იუვენტუსის“ მატჩი იყო რომის ოლიმპიურ სტადიონზე სადაც ბუქმეიკერული კომპანია „ვერობეთის“ სარეკლამო ფონიშები გამოუფენიათ და იმავე „ვერობეთის“ რეკლამა „რომას“ ვებ-გვერდზეც ყოფილა.

საქმის არსი კი ასეთია — სპორტთან დაკავშირებულ ბუქმეიკერულ კანტორებზე ლიცენზიებს იტალიაში ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი იძლევა, ხოლო „ვერობეთი“ ბრიტანეთშია რეგისტრირებული.

საგადასახადო პოლიცია აცხადებს, რომ „რომას“ ოფისის ჩხრეკის მიზანი იყო, დაეღვინათ, ვინ დგას იმ გადაწყვეტილების უკან, რომლის მიხედვითაც „ვერობეთის“ რეკლამა რომის ოლიმპიურ სტადიონზე განთავსდა. პო-

ლიცია იმაზეც მანიშნებს, რომ ეს სტადიონი იტალიის ოლიმპიურ კომიტეტს ეკუთვნის.

ჩხრეკის მეორე მიზანი: იმ კონტრაქტის აღმოჩენა, რომელიც კლუბსა და „ვერობეთს“ აკავშირებს.

თავის მხრივ, „ვერობეთის“ გამოხატა თავისი პოზიცია: „ჩვენ იტალიაში არ ვართ რეგისტრირებული. ჩვენი ვებ-საიტისთვის ლიცენზია ბრიტანეთში ავიღეთ, რომელიც გლობალური მასშტაბისაა და სრული უფლება გვაქვს, ჩვენს ფირმას რეკლამა იტალიაშიც გავუწვიოთ. იტალიელი ხალხს კი კანონი აძლევს უფლებას, ინტერნეტით დაღინ ფსონები“.

ერთი სიტყვით, „ვერობეთის“ საიტს იტალიაში აქვს დაკანონებული, ლიცენზია კი ბრიტანეთში აუღია. თანაც ამ ფირმას წინა სეზონში სხვა სტადიონებზე განუთავსებია რეკლამა.

წინააღმდეგარეობის კომენტარი ასეთია: „სპორტულ შეჯიბრებებზე ნებისმიერი სახით ფსონის დადება იტალიაში თითქმის არ არის შეზღუდული. რაც შეეხება ინტერნეტით ფსონების ჩასვლას, საამისო უსუსტი ლეგალური სტატუსი იტალიურ კანონებში ერთობ ბუნდოვანად გამოხატულია“.

**დავით თაგარტიძე**



ბრაზილიაში ფეხბურთი მხოლოდ რიოს კარნავალისას იფიქრებო















# აშხანაგური მატჩები

## იტალია — აშუ



მასიმო ამბროსინი

ხბურთელს აარჩევს, ანუ იმით, ვის მხრებზეც გადაივლის მომავალი მუნდიალის მთელი სიმბოლე: „მეტოქის“ შეუფასებლობა არ შეიძლება. ის რაც მოხდა ლიტვაში, აღარ უნდა განმეორდეს. მით უმეტეს, აშუ ძლიერი გუნდია. კარგად მასსოვს, 1983 წელს ჩემს „იუვენტუსს“ როგორ გაუჭირდა მასთან ფრის გახერხება. არადა, მაშინ პლატინი და ბონეცი გვყავდა.

სასტარტო შემადგენლობაში ვინ მოხვდება, ჯერ არ გადამიწყვეტია. საერთოდ, არ გამოვიცხვებ ტაქტიკურ ცვლილებებს. რაც შეეხება ვიერის, ის შეიძლება დი ვაიოსა და მარაცინასთან ერთად ვათამაშო. შესაძლოა, ფრანკესკო ტოტის ადგილზე კრისტიანო დონი გამოჩნდეს ან სულაც ორივე ერთად.

ბოლოს ტრაპატონიმ მომავალი მატჩის პოლიტიკურ მხარეზეც ილაპარაკა, II სექტემბერზე ახსენა და დასძინა, ასეთი მატჩები ჩვენი ქვეყნების კიდევ უფრო დაახლოებას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება „სკუადრა ატურას“ შემადგენლობას, უახლესი დანაკარგი მილანელი ნახევარმცველი მასიმო ამბროსინია, რომელიც „პერუჯასთან“ დაშავდა და მოედანს ერთი თვე ვეღარ გაეკარება.

არცთუ სახარბიელოა საქმე დაცვის ხაზშიც. კაბიტანი მალდინი რომ ვერ ითამაშებდა, ეს ისედაც ცნობილი იყო, მას შესაძლოა ლაციოელი ნეგრო და ბრემელი ბონერაც დაემატონ. ალესანდრო ნესტა თავად ტრაპატონიმ არ მიიწვია, ახალტრამპიმოშუშებულია და დაისვენოს, თუმცა კვირას ეროვნულ გუნდს რომელიც კრისტიან პანუჩი შეემატა, რომელიც სავარაუდოდ სასტარტოში ითამაშებს.

**დღეს** სიცილიურ კატანიაში იტალიის ეროვნული გუნდი ამხანაგურად გავეჯიბრება აშუ-ს. ჯოვანი ტრაპატონის თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პერიოდში 15-16 ფე-

- იტალია**
- მეკარები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი)
- მცველები:** ფაბიო კანავარო (პარმა), მარკო მატერაცი (ინტერი), მარკო იულიანო (იუვენტუსი), პაოლო ნეგრო (ლაციო), დანიელე ბონერა (ბრეშა), ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი), ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა, ესპანეთი)
- ნახევარმცველები:** ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანტონიო ასტა (ტორინო), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), დამიანო ტომაზი (რომა), ალესიო ტაკინარდი (იუვენტუსი), ჯენარო გატუზო (მილანი)
- თამბამსხმელები:** ფრანჩესკო ტოტი (რომა), კრისტიანო დონი (ატლანტა), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი), მარკო დი ვაიო (პარმა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მასიმო მარაცინა (კიევი)

## უელსი — არგენტინა



მარსელო ბიელსამ გაუწვიმდა

**არგენტინის** ნაკრები კარდიფში ჩავიდა, რათა უელსის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი ჩაატაროს. თუმცა იქ ახლა თავსხმა წვიმებია და სამხრეთამერიკელები ჩვიან, ასეთ ამინდში ვარჯიში შეუძლებელია. თურმე ისინი საერთოდ უკან აპირებდნენ გაბრუნებას, რის გამოც მატჩს ჩაშლა ემუქრებოდა.

არგენტინელთა თავაკაცმა მარსელო ბიელსამ განაცხადა: „როცა უელსში მოვიდოდით, ვიცოდით, რომ აქ სულ ავღარია. თუმცა ახლა კომპრომისზე წავიდით და სავარაუდოდ დახურულ სტადიონზე გადავინაცვლებთ“.

ამინდის ჭირვეულობას ისიც დაერთო, რომ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი სასტუმროს ლიფტში გაიჭედა და ცოტა ხნით იქ მოუწია ყოფნა. ცხადია, კაბინიდან ყველა უვნებლად გამოიფანეს, მაგრამ ამან არგენტინელებს ხასიათი ვერ გამოუკეთა.

დღეს

- ჰოლანდია — ინგლისი**  
**ლიხტენშტაინი — უარინი**  
**გერმანია — ისრაელი**  
**ურუგვაი — სახრეთი კორეა**  
**პოლონეთი — ჩრდ. ირლანდია**  
**აშუ — ნორვეგია**  
**ესპანეთი — პორტუგალია**  
**საფრანგეთი — რუმინეთი**

- ლუქსემბურგი — ალბანეთი**  
**სორვატია — ბულგარეთი**  
**არგენტინა — ეკვატორი**  
**საუდის არაბეთი — დანია**  
**ირლანდია — რუსეთი**  
**საბერძნეთი — სლოვაქია**  
**იტალია — აშუ**  
**მექსიკა — იუგოსლავია**

## ჰოლანდია — ინგლისი



რუულ ვან ნისტერლოის მაიკლ ოუნის აღარ ემინია



**ამსტერდამში** წასასვლელად გამოადგებულ მაიკლ ოუნს უცხრად მუხლის ძველმა ტრამპამ შესენა თავი და ლიგერაულებიც ნაკრებს გამოაკლდა.

სვენ ვორან ერასკისონ არც გრამაშეყრდელი ვესტჰემელი ტრევიორ სინკლერი და მარად ტრავმირებული ტოტენჰემელი დარენ ანდერტონი ეყოლება.

## მექსიკა — იუგოსლავია

**აშუ**ში დღეს გასამართ მექსიკა — იუგოსლავიის ამხანაგურ მატჩში სტუმართა შწვრთნელ დეიან სავიჩევის ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდა. ფენერბაჩელები ზორან მირკოვიჩი და ნიკოლა ლახეტიჩი, ასევე ოლიმპიაკოსელი პრედრაგ ჯორჯევიჩი კლუბებმა არ გაუშვეს. მიროსლავ ჯუკიჩის, ლუბიკო დრულოვიჩისა და ივიცა კრალის თავად სავიჩევიჩმა დაუწუნა სათამაშო ფორმა და შესაბამისად არც მიუწვევია.

სხვათა შორის, ბელგრადული გიგანტების — „პარტიზანისა“ და „ცრვენა ზვეზდას“ ფეხბურთელებიც ნაკრებს მიღმა დარჩნენ. ამის თაობაზე საინტერესო განცხადება გააკეთა თავად სავიჩევიჩმა: „სამწუხაროა, რომ ამ ორი კლუბის წარმომადგენლები არ ითამაშებენ, ერთ-ერთი მათგანიდან უფრო მეტი ფეხბურთელი რომ მიმეწვია, მეორეს ეწყინებოდა. „ცრვენა ზვეზდაც“ და „პარტიზანიც“ მეტად მგრძობიარენი არიან, როცა საქმე ნაკრებს ეხება“.

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ გუნდში რვა ახალწვეულია. შწვრთნელის თქმით, ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა და მანსი ყველას მიეცემა, ვინც ამას დაიმსახურებს.

- იუგოსლავია**
- მეკარები:** დრაგოსლავ ჟევიჩი (ვიტესი, ჰოლანდია), დრაგან შილიჩი (სარტიდი), ვუკაშინ პოლეკიჩი (სუტიესკა)
- მცველები:** ნენად იოდრიჩი (მონპელიე, საფრანგეთი), გორან გაგრანჩიჩი (დინამო, უკრაინა), სინიშა მიხაილოვიჩი (ლაციო, იტალია), მლადენ კრსტიანიჩი (ვერდერი, გერმანია), დეიან სტევიანოვიჩი (ვიტესი, ჰოლანდია), ბობან დმიტროვიჩი (გრაცერი, ავსტრია)
- ნახევარმცველები:** სლავიშა იოკანოვიჩი (ჩელსი, ინგლისი), ვლადიმირ იუგოვიჩი (მონაკო, საფრანგეთი), დეიან სტანკოვიჩი (ლაციო, იტალია), ოგნიენ კორომანი (ოფკ), რადოვან კრივაკოპიჩი (ვოივოდინა), ნენად ბრნოვიჩი (ზეტა), ველიკო პაუნიოვიჩი (მალიორკა, ესპანეთი)
- თამბამსხმელები:** პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), მატეია კეჟმანი (პსე ვინდჰოვენი, ჰოლანდია), ნენად მლადენოვიჩი (ობილიჩი)

## სორვატია — ბულგარეთი


**ბალკანურ** დერბოში, სორვატია — ბულგარეთის ამხანაგურ მატჩში, მასინძლებს წამყვანი მცველები, ჰაიდუკელი იგორ შტიმაცი და მისი იუვენტუსელი სენია ტულორი დააკლდა. ორივეს ტრავმა აწუხებს. ლევიონერი მცველი თვეზე მეტია, მინდორზე არ გასულა, ხოლო მშობლიურ ჩემპიონატში მოთამაშე შტიმაცმა ტრავმა ბოსნიაში გაიმიხეზა, როცა ნაკრებთან ერთად შეკრებაზე იმყოფებოდა.

დღევანდელი შეხვედრა ერთგვარ დახვედრად შეიძლება ჩაითვალოს, ბალკანელები ხომ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფშიც შეყვარნენ ერთმანეთს. ბულგარელებმა ამ მატჩისთვის უძლიერესებს მოუყარეს თავი და დიდ გულზეც არიან.

## საფრანგეთი — რუმინეთი

**კპირას** „ჩარლტონთან“ პრემიერლიგური მატჩი ზურგის მორიგი ტრავმის გამო გამოტოვა ფრანგთა ნაკრების მანჩესტერულმა მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა, იგი ვერც რუმინელებთან ამხანაგურ შეხვედრაში უღარავებს ეროვნული გუნდის კარს.

როჟე ლემერი თავისი გუნდისთვის ესოდენ საჭირო ფეხბურთელის ამხანაგურ მატჩში გაყვანას არ რისკავს და მის ადგილს „ლიონის“ გოლკაპერ გრეგორი კუპეს უთმობს. „მამლები“ კი რუმინეთთან გაჯიბრებისთვის კლერფონტენის ბაზაზე ემზადება.



ფაბიენ ბარტეზი



საპარტვილოს ჩემპიონატი

«ბასკოს» ვერაზე ოუ მთარაპი...

ბასკო 82:61 სტუ

19:14, 20:21, 20:26, 23:20
ბასკო: ჩაბარაშვილი, როჯერსი (14), ჯანი (12), თორთაძე (6), მეფიშვილი (5), საგვარდელიძე არხიპოვი (0), მ. მარკოვიშვილი (17), ბერძენიშვილი (14), ორმოცაძე (4), იხნაძე, ათაბაგიალი (1), შენგელია (17), აბრამიძე (11)
სტუ: ბაბიაშვილი (22), ო. ხოშტარია (4), მარხვაშვილი, სულაძე ოთაროიძე, ლო საბერძენი (4), მინაშვილი (2), დავითოიანი (1), შენგელია (17), აბრამიძე (11)
წევრები: ზაზა მაჩალიაძე, დავით ბერეგაშვილი
კომენტარი: მურმან ქურიძე

ჯარიმით და მარცხენა ფლანგიდან საქმიანობით უპასუხა. საწყისი მეთოდის შუაფენის მეთოდებიდან სწრაფ შეტევებს უხშირეს. როგორც უფრო უხსენი ბათუშვილი გამოდგენს, „ბასკოს“ რომ პირველი ასოუთეული ხუთქულიანი უპირატესობით დაასრულა, ტუჯანის დამსახურება გახლდათ, ჟოლივეტმა ზედიზედ გაიბრწყინა სტუს ფარქვემ.

მეორე მეთოდის დაწყებისთანავე ბაბიაშვილმა გამოიჩინა თავი. ერთხელ, მეორედ და თბილისელებმა ქულითაც გაასწრეს მასპინძლებს. თამაში დაიძაბა და პაველ გოლოვმ მოედანზე სასტარტო ხუთეულის სამი მოთამაშე იხმო. როჯერსის, ტუჯანის და მარკოვიშვილის წყალობით ბათუშვილებმა მოახერხეს თამაშის დალაგება და დიდი შესვენებისთვის ოთხქულიანი უპირატესობის მიაღწიეს.

პირველი ნახევრის შემფურე იფიქრებდით, „ბასკოს“ მეთოდის ძლევა გაუძნელდებოდა, პირიქით კი მოხდა. მესამე ასოუთეული სტუმართა შეტევებით დაიწყო, ოლინდ ბაბიაშვილმა ორჯერ საშუალო მანძილიდან აცილა, მერე სავარძოებიც გააცვლა და სტუს რბევაც აქედან დაიწყო. როჯერსმა ზედიზედ სამჯერ დალაშქრა სტუმართა კალათი, ტუჯანიმაც ივარჯა და „ბასკო“ ათი ქულით გავიდა წინ. ნუგზარ ტყეშელაშვილის შეგირდებს დაღვასთან ერთად უიმედობის შეგრძობა დაეუფლათ და შევიდი წუთი ისე უხეიროდ იბურთავენ, რომ ქულა თუ მოიაზვენ. ბათუშვილებს კი ამ დროს ყველაფერი გამოსდიოდათ, თამაში ფაქტობრივად, ერთ ფარში მიმდინარეობდა და მასპინძელთა დიდი უპირატესობა ანგარიშშიც აისახა — მესამე ასოუთეული „ბასკოს“ 20:6 მოიგო და ყველაფერი ამით მორჩა.

მატჩის შედეგი

ნუგზარ ტყეშელაშვილი, სტუს მწვერთელი: ლიდერების თამაში ყოველთვის საინტერესოა. შედეგებისდაგვარად ვიბრძობეთ. პირველ ნახევარში ინიციატივა არ დაგვიტოვია, მაგრამ მერე ბათუშელთა კარგმა ფიზიკურმა მომზადებამა თავი. საბოლოოდ ძლიერმა გაიმარჯვა.
კამეშვილი გომიძე, „ბასკოს“ მწვერთელი: ჩვენმა ბიჭებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს, მეორე ნახევარში თამაშში გარდატეხა შეიტანეს. ეს კარგია, მაგრამ ნაკლებ ბევრი გვაქვს. ფარქვემ ბრძოლას ვაგებდით, ყველაფერი ისე არ გამოვდიოდით, როგორც ვეგეძავდით.



ბასკო — სტუ კაბა შენგელია ბათუშელი ჟოლივეტ ტუჯანის შეტერების ლამობს

ამერიკელს უყვართ სტატისტიკა და სტატისტიკის ერთ-ერთი პარაკი, უზვდაც ვთავაზობენ მას. საქმეს ისეთი პირი უნახს, ერთხელ საკალათბურთო ასოციაციაში: ამ სეზონის პირველი მექულე ალენ აივერსონი გახდება, თუ ლოსანჯელესელმა შემეტულებმა — შაკილ ონილმა და კობი ბრაიანტმა ერთმანეთის მიწოდებით ბევრი 40-40 ქულიანი თამაში არ ჩაატარეს. აივერსონს სუსტ კონკურენციას უწევს აგრეთვე ბოსტონელი პოლ პირსი. ასე რომ, ფილადელფიელი ალბათ ზედიზედ მეორედ, ჯამში კი კარიერაში მესამედ გახდება ლიგის ოფიციალური პირველი მექულე.


ალენ აივერსონი ჯერ 26 წლისაა და სანამ ნბა-ში ბურთაობის თავი ექნება, ალბათ კიდევ არაერთხელ აღიარებენ სეზონის ბომბარდირად, თუმცა გვეჭკვება, ამ ტიტულების გროვებაში მაიკლ ჯორდანს დაეწიოს.

მაიკლი მობრუნდა კალათბურთში და კიდევ დაამტკიცა, რომ სწორპოვარი მექულეა. 39 წელს მიტანებული მექულე ადგილს ეცილება ჯან-ღონით აღსავსე ტიმ დანკანს და ხუთეულში შესვლის ურეალურესი შანსიც აქვს. ჯორდანი არ ესწრაფვის ლიგის ყოჩად მექულეთა კიბეზე რაც შეიძლება მაღალი საფეხურის დაკავებას და გზას ასლებს უთმობს. სხვა თუ არაფერი, პირველი ბომბარდირის ათ ტიტულს ფლობს და მოხერხდებოდა სხვებთან გავიბრძობა.

წლეულს მეფარეებში პოზიციები დათმო 218-სანტიმეტრიანმა კონგოელმა ანბანსმა დიკემბე მუტომბო. წინა სეზონის საუკეთესო მომხსნელი ახლა ოდენ მეთხუთხეა და ვერც დამფარებლებში პირველობს. სამაგიეროდ, წინ წამოიწია დეტროიტელმა მუშა-ბიჭმა ბენ ვოლესმა.

ახლები მოდანი მეპასიებშიც მცირე პარადოქსია, ჯეისონ კიდი საუკეთესო ფორმაშია და მისი „ნიუ ჯერსიკ“ აღმოსავლეთში პირველობს, მაგრამ მეპასეთა საში მას უსწრებს ვაგლავი „კლივლენდის“ ნახევრად სუპერვარსკვლავი ანდრე მილერი.

ახლები ყველაზე მოდანი



მაიკლ ჯორდანი: შეილებო, ხელი გაანძრეთ!

ლიგის ლიდერები

Table with columns for team, player, and statistics. Includes sub-tables for 'მექულეები', 'მოხსნელები', 'მეპასეები', 'ჩამტარებლები', 'დაფარებლები', 'თამაშებიდან სროლები', 'სამექულიანები', and 'საშუალოები'.

შენიშვნა: თ — თამაში, რ — რაოდენობა, საშ. — საშუალო; ჩ — ჩაგდება, ს — სროლა

ფოტო: ვახტანგ ბათუშვილი



ფიზიკა სიტი

ფიზიკა



ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერენია



ედი სილე სიხარულიძესთან „ავარის მერე“

# ფიზიკა სიტი სოციალიზმი დარჩა

30, 1964 წლიდან დამკვიდრებული ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა — მეფიგურსრიალად წყვილთა ოქრო კლავაც რუსთა, ამჯერად ანტონ სიხარულიძისა და ელენა ბერენიას კუთვნილება შეიქნა. ოდნობდა, ამბობენ, ეგრე დაუმსახურებლად ოქრო რუსებს ჯერ არასდროს რგებიათო.

თუკი მეორე ადგილზე გასულ კანადელთა, ედი სილესა და დავიდ პელეტის ქორეოგრაფ ლორი ნიშოლს დავსესხებით, „ეს შედეგი ფიზიკა სიტი

სრილის სირცხვილია“. თავად 27 წლის პელეტის აზრით კი, მას ალბათ სიცოცხლის ბოლომდე არ მოასვენებს იმის შეგრძნება, რომ სოლტ ლეიკ სიტიში მის მიერ მოპოვებულ მედალს სრულიად განსხვავებული ბრწყინვალეობა უნდა ჰქონოდა. „ჩემი მედალი ოქროსფერი უნდა იყოს“ — ამბობს კანადელი.


პელეტისა და მისი შეწყვილე გოგონას უნაკლო და შთამაგინებელ სრილის ვინდო თავდაც უცქირეთ. მა-

შინ ისიც გემახსოვრებათ, თუ რაგვარი ოვაციებითა და ყვირით დააფასა მათი გამოსვლა „აის სენტრში“ თავმოყრილმა საზოგადოებამ. ხოლო თუკი რუსთა ცეკვაც იხილეთ, მაშინ სიხარულიძის უშო წაფორბილებაც გინახავთ და იმაშიც დარწმუნებულხართ, რომ რუსებმა, კანადელთაგან განსხვავებით, მაყურებლის აღტაცება და აყვლიება ვერ შეძლეს.

ეს ყველაფერი ღობის გადაღმა ჩასაფრებულმა ცხრა მსაჯამაც ნახა, მაგრამ ამითან ხუთმა (რუსმა, უკრაინელმა, პოლონელმა, ჩინელმა და ფრანგმა) უმაღლესი შეფასება მაინც რუსებს უბოძა, ოთხმა კი (ამერიკელმა, კანადელმა, გერმანელმა და იაპონელმა) კანადელები გამოარჩია. თუკი ყოფილი სოციალისტური ბანაკის წარმომადგენელ მსაჯთა პრორუსული განწყობა მოულოდნელი არ ყოფილა, ფრანგი მსაჯის საქციელმა ყველა გააკვირვა. ამიტომაც იყო, თავიანთი მარცხი პელეტის სწორედ მას რომ დააბრალა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ თავისუფალი პროგრამისწინა მოთელვისას სალე და სიხარულიძე მოულოდნელად ერთმანეთს დაეჯახნენ. ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით მოხდა, მაგრამ ამ უსიამოვნო ამბავმა ისედაც დაამბული წინასასტარტო გარემო კიდევ უფრო მოაქურხა.

მერე კი სრილი და ფრანგი მსაჯის სიმუხთლე იყო...



რუსებმა ოქრო წაგვართვეს, მოსტეჟამენ ედი სილე და დავიდ პელეტე

სკანდალურად დაწყებული დღე კი სკანდალითვე დასრულდა. პრესკონფერენციაზე ოდენინგლისურად მოპასუხე სიხარულიძეს მაგანი რუსი ჟურნალისტი შემოსწვრა და, რა იყო, ბიჭო, შენი ხალხისა და ქვეყნის იმდენი პატივისცემა არა გაქვს, შენ ენაზე რომ ილაპარაკო, ასე შეუბღვირა. ანტონმაც აიღო და, შენ თუ ეგრე გააგრძელებ, სართოდაც არც ერთ ენაზე არ დაგელაპარაკებო, ეგრე უპასუხა.

მოკლედ, მსოფლიოს საფიგურსრიალო ამქარში ისეთი ყაფანია, რომ თუ ყველაფერი კარგად იქნა, მომავალი ოლიმპიადიდან საწყვლო ოქროს რუსებს აღარავინ გაატანს.

რაც შეეხება მესამე ადგილს, მას ჩინელებს ვერც სოლტ ლეიკ სიტიში შეეცილა ვინმე და ალბათ ვერც ოთხი წლის მერე შეეცილება. ისე კი, ხუე შენი და პონგბო მათ პირველი ჩინური წყვილია, რომელსაც ოდესმე საფიგურსრიალო ოლიმპიური მედალი რგებია.

**ბინდო გუდაური**

2 1 3

1. ელენა ბერენია, ანტონ სიხარულიძე (რუსეთი)  
2. ედი სილე, დავიდ პელეტე (კანადა)  
3. ხუე შენი, პონგბო ფოი (ჩინეთი)

# ბიათლონი კენკელი და გერმანელი ყველაზე მთავარი ყველაზე უმუხრნაველია

მაღაბი, 15 კმ

მს ის სახეობაა, სადაც არავის არაფერი აქვს გარანტირებული. წლებად წლებად სეზონში — და არა მარტო წლებად — ორი სპორტსმენი ჩინების საბათლოონო მოდას. ბოლო ხანებში გამართული ნებისმიერი შეჯიბრების ფინიშზე ხან ოლიმპიური და კიდევ ბერის რამის ჩემპიონი შეედი მაგდალენა ფორსბერგი მიდის პირველი, ხანაც ნორვეგიელი ლიე სკიელბრეიდი (ახლა უკვე მსოფლიო თასის მფლობელის, ფრანგი პუარეს შეუდღე და თვითონაც პუარე). სპეციალისტები, ცხადია, ერთ-ერთი მათგანის გამარჯვებას ვარაუდობდნენ, მაგრამ...

აი, ეს „მაგრამა“, ბიათლონი პოპულარობა რომ შესძინა. ეს მართლაც ის სახეობაა, სადაც გამარჯვებულის გამოცნობა ძალზე ძნელია. შეიძლება ძლიერი მოთხილამურე იყო, მაგრამ ხელის თუნდაც ერთი, ერთადერთი აკანკალება და ყველაფერი წყალში ჩაივრება. ამ მოულოდნელობების გამო ბიათლონის გულშემატკივართა რიცხვი ბოლო წლებში ერთი სამად გაიზარდა.

თუკი, დავებრუნდეთ ოლიმპიურ წყვილმეტრთან ტრასას. იტალია ამ დღეს გერმანელი კენკელის მხარეს იყო. ერთადერთმა ფუქსმა გასროლამ (+1 საჯარიმო წუთი) მას საშუალება მისცა, ორივე ფაფორიტი დაემარცხებინა — ფორსბერგმა სულ ბოლო, მეოთხე სასროლეთზე ორჯერ ააცილა სამიხნეს,



ანდრეა პენკელი

პუარემ (+1წთ) კი რამდენიმე წამი წააგო კენკელთან და ოლიმპიური ოქროს გერმანელთა საკუთრება გახდა.

**იტალია ბერიაზილი**

2	1	3
---	---	---

1. ანდრეა პენკელი (გერმანია) 47:29,1 (1 საჯარიმო წრე)  
2. ლიე სკიელბრეიდი (ნორვეგია) 47:37,0 (0)  
3. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 48:08,3 (2)



ოლე ეინარ ბიორნდალენი

# კასი თავის ადგილზე

მაღაბი, 20 კმ

ბიათლონი ნორვეგიელებს გასაკუთრებული პრეტენზიები აქვთ. ცხადია, ეს არ არის უსაფუძვლო პრეტენზიები. მათ გუნდში ორი მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონია (ბიორნდალენი და პანევილი) და არა ერთი და ორი შეჯიბრების მომები ფროლ ანდრესენი. ქალების ერთი ვერცხლით ნორვეგიელთა დამწვიდება, რა თქმა უნდა, ზღაპრია — გუნდური ოქროს გარდა კიდევ ერთი-ორ ოქროს მედალს, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად ვარაუდობენ გუნდის მწვრთნელები.

წინასწარ ვიტყვი, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა პანევილმა ჩვეულებისამებრ სუფთად იარა (არც ერთი საჯარიმო წუთი), მაგრამ სისწრაფე არ იყო. ანდრესენს (იგი პანევილზე გაცილებით სწრაფია) პირველ სამ სასროლეთზე არც ერთი ტყვია არ უსვრია ფუქად და ბოლო, მეოთხე სასროლეთამდე ჩემპიონობის რეალური კანდიდატაც იყო, მაგრამ, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა და სამი სამიხნე (ხუთიდან) დაუმსხვრეველი დატოვა.

სუფთად გაიარეს მთელი ტრასა და ოთხივე სასროლეთი გერმანელმა ფრენკ ლუქმა, რუსებმა მაიოროვმა, საშური-ნმა და როეკოვმა, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი გამარჯვებისთვის.

იქ, სადაც ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი გამოდის პარველობისთვის კარგად, თუნდაც ბრწყინვალედ სროლა არაფრის გარანტიას არ იძლევა ამ სპორტსმენს სტარტზევე აქვს სულ ცოტა ორი წუთის უპირატესობა ნებისმიერ მეტოქესთან. საკმარისია, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ორზე მეტი გასროლა არ გააფუჭოს, გამარჯვებაც განაღდებული აქვს.

ასეც მოხდა. მეორე და მესამე სასროლეთზე ბიორნდალენმა თითო საჯარიმო წუთი აიკიდა და პირველი ბიათლონიური ოქრო აჩუქა თანამემამულეებს.

2 1 3

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 51:03,3 (2 საჯარიმო წრე)  
2. ფრანკ ლუეი (გერმანია) 51:39,4 (0)  
3. ვიტეორ მიეგუროვი (რუსეთი) 51:40,6 (0)



# თორის ისტორია

ერთი წელი  
გინჯავთ



REUTERS ფოტოაგენციიდან

დრონი მეფობენ და არა მეფენიო, სულ ტყუილი ნათქვამია. მეფენი, თუ ისინი ნამდვილნი ვახლავან და არა მუყაოსანი, ყოველთვისაც მეფობენ. ამ ორ მეფეზე ფილმიც კი გადაუღიათ და ასევე დაურქმევიათ, „როცა მეფენი ვიყავით“. ერთი პარკისსონით ტანჯული სამოცი წლის კაცია, მეორეს, მის კბილას ასაკშიაც შეუნახავს თავი, პეწიან-ზანგურად გამოწყობილა და ის თავისი განთქმული ცაცია ხელი გულზეც დაუკრეფია. ძაან კაცები არიან. პირველი მუჰამედ აღია, ლუბიანული ბიჭი, რომელმაც სამკარო ააყირავა. მეორე, მისი მარადი მეტოქე, ფილადეფიელი ჯაფრუზერი. ისე უცხოვრიათ, რომ ერთმანეთისთვის უჯობნიათ, ერთმანეთს ნდობიან, ერთმანეთით შექნილან განუყოფელნი და ახლა თითქოს მოწყენილნი გვერდიგვერდ სხედან ფილადეფიის „ფერსთ იუნინონ სენტერის“ ათ „კელ რიგში, კალათბურთის „ოლა სთარზის“ მთავარ შოუსზე. რა შოუ? ესენი ერთად ყოველგვარ შოუს გააფერმკრთალებენ არა დადგმული, არამედ ნამდვილი ისტორიით.




REUTERS ბუენოს აირესიდან

## პარდობის ორშაბათი

გერმანიაში კარნავალების დროა: მაინცი, დიუსელდორფი და კიოლნი ქუჩის მხიარულ მსვლელობათა აღაგებად ქცეულან. ვარდობის ორშაბათის ერთ-ერთი გმირი კი ბონის ბეკერის უშეველებელი თიჯიანაც ქცეულა, რომელიც ხალისით დააბიჯებს კიოლნის ქუჩაზე.

## არგენტინა!

ფინანსური კრიზისითა და უცაბედი ხილატა კით ტანჯულ არგენტინაში თუკი რამე უზაროდათ, ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ გამარჯვება სიხარულია და შამპანურის ბოთლიც ალაღია. არგენტინელი ჩოგბურთელები გილერმო კორიას (მარჯვნივ) და ლუკას არნოლდი დევისის თასისთვის ბრძოლაში მომთვევებულ გამარჯვებას ზეიმობენ. მათ 5:1-ზე დაუმარცხებიათ ავსტრალიის ნა. კები და შეთისკდფინალში ხორვატებს უნდა შეეჯიბრონ. გამარჯვების ადგილი კი ბუენოს აირესის „ლოუნ ტენის კლაბია“.



REUTERS კიოლნიდან

**სარბიელი**  
სკორტული გაზეთი  
გამოცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის საშაბათს,  
კარგაპირსა და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ზომხვერიძე  
დირექტორი ბიორგი ოპრომაქალიძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კობორეძე  
ტექნიკური რედაქტორი მანანა ბზინაძე  
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: ლევან ლომიძე  
რედაქტორი ბიორგი ლარჯანიძე  
გია ახვლედიანი, დია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიანაშვილი, გი. ა. ჯა. კაშაყაძე, კატა ხუციშვილი  
ინფორმაციის რედაქტორი: ვია ახვლედიანი, დავით გულუა, ავთანდილ

გურასაშვილი, ლევან კვლავაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი  
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე  
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქრობირძე  
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კვიციანი, სტილისტები: მათა აბიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოხაძე-შვილი  
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუგუელიძე  
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა ვოლოდაშვილი, სვეტა დეკაძე, მკვლავაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თინათინ ფოფხაძე, ნინო ყუყუნიანი, მალხაზ ქუმბურიძე  
გამომცემი: ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი, ალექსანდრე  
შაზაძის გამზირი 42, II  
კორპუსი, IV სართული  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი — 79, საფოსტო  
წმინდა 208, ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა  
sarbliel@gol.ge  
ელექტრონული ვერსია  
<http://www.sarbliel.com.ge>